## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 35 35-09-4-202008131746

13/08/2020

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №09 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №09 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.

1. განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1-ის „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების შერჩევის წესი“-ს მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. კონკურსის ჩატარებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები**

5.1. განაცხადებების მიღება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ დაიწყება თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდსა და ოფიციალურ Facebook გვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსების დღიდან და დასრულდება მიმდინარე წლის **15სექტემბერს 18:00 საათზე.**

5.2. კომისია განიხილავს შემოსულ განაცხადებს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს **15** კალენდარული დღის ვადაში. კომისია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კონკურსანტს აცნობებს გადაწყვეტილების მიღებიდან **3** დღის ვადაში.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო